სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
470.230.000.11.119.004.926

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

მინისტრის ბრძანება №303/ნ

2001 წლის 16 აგვისტო

ქ. თბილისი

განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტების შენახვის პირობებისა და ვადების დამტკიცების შესახებ

განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტების შენახვის პირობებისა და ვადების სანიტარიული წესებისა და ნორმების დადგენის, მოსახლეობის უსაფრთხო კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის მიზნით, საკვებისმიერი ინტოქსიკაციებისა და ნაწლავური ინფექციებისაგან მომხმარებელთა დასაცავად „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 70-ე მუხლისა და „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ნორმირების სახელმწიფო სისტემის ნორმატიული დოკუმენტი განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტების შენახვის პირობებისა და ვადების შესახებ – "განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტების შენახვის პირობები და ვადები" – სანიტარიული წესები და ნორმები (დანართი 1).
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის მოადგილეს ა. ზოიძეს.
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა. ჯორბენაძე

2.3.2 საკვები პროდუქტები და მათი დანამატები განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტების შენახვის პირობები და ვადები

Conditions and periods to Perishable Goods

სანიტარიული წესები და ნორმები

სანწდან 2.3.2. 000 - 00

I. გამოყენების სფერო

1. წინამდებარე სანიტარიული წესები და ნორმები შემუშავებულია საქართველოს კანონების ,,ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" და ,,მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" საფუძველზე და ადგენს განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტების შენახვის პირობებსა და ვადებს.

2. წინამდებარე სანიტარიული წესები და ნორმები განსაზღვრავს განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტების შენახვის პირობებსა და ვადებს და განკუთვნილია ამგვარი პროდუქტების მწარმოებელ-მარეალიზებელი ყველა სახის საწარმოსათვის საკუთრების ფორმისა და უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

3. განსაკუთრებით მალფუჭებადს განეკუთვნება პროდუქტები, რომელთა შენახვა სიცივის გარეშე დაუშვებელია;

4. განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტების შენახვის მაქსიმალური ვადაა 6-72 სთ (პროდუქტის სახეობების მიხედვით) არა უმეტეს 6^0C ტემპერატურული რეჟიმის პირობებში.

5. განსაკუთრებით მალფუჭებადი შეიძლება იყოს: ხორცის, რძის, თევზის, ბოსტნეულის პროდუქტები, საკონდიტრო ნაწარმი და სხვ.

6. განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტების შენახვის პირობებისა და ვადების დარღვევა იწვევს ამ პროდუქციაში არა მარტო ლპობის, არამედ პირობით-პათოგენური და პათოგენური მიკროორგანიზმების სწრაფ გამრავლებას, რაც თავის მხრივ ბაქტერიული მოწამვლისა და მწვავე ნაწლავური დაავადებების აღმოცენების მიზეზი შეიძლება გახდეს.

7. განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტების შენახვის დადგენილი ვადა აითვლება ტექნოლოგიური პროცესის, გაგრილება-გაყინვის დამთავრებიდან და მოიცავს დამამზადებელ საწარმოში დაყოვნების, ტრანსპორტირებისა და ვაჭრობის ან საზკვების ობიექტებში შენახვის დროს.

8. წინამდებარე წესებისა და ნორმების შესაბამისად განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქციის თითოეულ პარტიაზე დამამზადებელი საწარმოს მიერ გაიცემა ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი და ზედდებული საწარმოში ტექნოლოგიური პროცესის დამთავრების მომენტიდან პროდუქტის გამოშვების თარიღისა და საათის, შენახვის ტემპერატურისა და შენახვის ვადის დამთავრების (თარიღი, საათი) მითითებით.

9. პროდუქციის დამამზადებელი საწარმო ვალდებულია მოახდინოს განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქციის თითოეული პარტიის ნიშანდება.

10. განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქციის იარლიყზე ან შესაფუთ ტარაზე მითითებული უნდა იყოს პროდუქტის შენახვის ტემპერატურა და ვადა; ხოლო სარეალიზაციო დაუფასოებელი პროდუქციისათვის, დამამზადებელმა საწარმომ უნდა გაგზავნოს მსგავსი ინფორმაციის შემცველი ეტიკეტები ამ პროდუქტების სარეალიზაციო წერტილებში, სადაც განთავსდება მომხმარებლისათვის თვალსაჩინო ადგილას.

11. განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტების ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს დახურულ, ნიშანდებულ ტარაში მანქანა-მაცივრების ან იზოთერმული ავტოტრანსპორტის საშუალებით, რომელთა ძარას აქვს ჰიგიენური საფარი. თითოეულ ამგვარ სატრანსპორტო საშუალებას უნდა ჰქონდეს სანიტარიული სამსახურის მიერ გაცემული სანიტარიული პასპორტი. წელიწადის თბილ პერიოდში იზოთერმული ტრანსპორტით პროდუქტების გადატანა ყინულის თანაობისას უნდა განხორცი-ელდეს მაქსიმუმ 3 სთ-ის განმავლობაში, ხოლო მის გარეშე კი – არა უმეტეს – 1 სთ-ისა.

12. საზოგადოებრივი კვებისა და სავაჭრო ობიექტებში განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტები უნდა ინახებოდეს +2^0C-დან +6^0C -მდე ტემპერატურული რეჟიმის პირობებში; გამონაკლისს შეადგენს ზოგიერთი სახეობის ნახევარფაბრიკატები და მზა პროდუქტები, რომელთა შენახვის ტემპერატურა ცალკეა მითითებული ჩამონათვალში.

13. განსაკუთრებულ შემთხვევებში მალფუჭებადი პროდუქციის მსხვილ პარტიას შეიძლება გაუგრძელდეს შენახვის ვადა სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედვე-ლობის

სამსახურის მიერ სანიტარიულ-ჰიგიენური ექსპერტიზის საფუძველზე. გაგრძელებული შენახვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ადრე დადგენილის ნახევარს.

14. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უფლებამოსილია:

ა) დაადგინოს ეროვნული და საფირმო კერძების შენახვის წესები და პირობები;

ბ) შეათანხმოს და დაადგინოს იმ განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტების შენახვის პირობები და ვადები, რომლებიც არ შედის წინამდებარე დოკუმენტში.

15. პასუხისმგებლობა წინამდებარე სანიტარიული წესებისა და ნორმების დაცვასა და კონტროლზე ეკისრებათ იმ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რომლებიც დასაქმებულნი არიან განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქციის წარმოებით, ტრანსპორტირებითა და რეალიზაციით.

16. მოცემული წესებისა და ნორმების დაცვას აკონტროლებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახური.

პროდუქციის დასახელება	შენახვის ვადა, სთ.	შენახვის ტემპერატურა, ^{0}C
1	2	3
ხორცის პროდუქცია		
საქონლის, ღორის, ცხვრის ხორცის ნახევარფაბრიკატები		
1. მსხვილნაჭრებიანი	48	2-იდან 6-მდე
2. დაფასოებული ხორცი (0,25-იდან 1,0კგ-მდე)	36	,,–”
3. საულუფე საფანლის გარეშე (ამონაჭერი, ბიფშტექსი ნატურალური, ლანგეტი, ანტრეკოტი, რამშტექსი, საქონლის, ცხვრის, ღორის საფურნუკე ხორცი, ესკალოპი, შნიცელი და სხვ.)	36	,,–”
4. საულუფე საფანლით (რამშტექსი, ცხვრისა და ღორის ხორცის კოტლეტი, შნიცელი)	24	,,–”
5. წვრილნაჭრებიანი (ბიფსტროგანოვი, აზუ, მოსახრაკი, გულიაში, ჩასაშუში საქონლის ხორცი, სამწვადე ხორცი და სხვა)	24	,,–”
6. მოხრაკულ-განსაკუთრებული, ხორცეულის ასორტი	18	,,–”
7. საჭმელად ვარგისი ძვლები	24	,,–”
8. საქონლის სუბპროდუქტები გაცივებული გაყინული	24 48	,,–”
9. სამწვადე მარინადში (ნახევარფაბრიკატი)	24	,,–”
10.დაკეპილი ხორცის ნახევარფაბრიკატები: ნატურალური დაკეპილი შნიცელი, ნატურალური დაკეპილი კატლეტი, დაკეპილი ბიფშტექსი, კატლეტები ოჯახური, მოსკოვური, კიევური, ლულა – ქაბაბი	12	,,–”
11. გაყინული დაკეპილი ბიფშტექსი	48	არა უმეტეს –5
12. მაღალი კვებითი ღირებულებისა: საქონლის ხორცის კატლეტები, ცხიმგაცლილი და სასკოლო, საქონლის ხორცის კეპილა,ხორცის კნელი	12	2-იდან 6-მდე
13. კომბინირებული (კატლეტები ხორც-კარტოფილისა, ხორც-		

მცენარეული და სხვ.)	12	2-იდან 6-მდე
14. ხორცის ფარში, დამზადებული ქარხნული წესით: ფარში ნატურალური (დიეტური და სხვ.) ხორცის ფარში გაყინული ფარში კომბინირებული: ხორცის საგანგებო (სოიის ცილის დამატებით), ფარში სატოლმე	 12 18 48 12 12	 2-იდან 6-მდე 0-ზე დაბალი 2-იდან 6-მდე
15. ხორცის ფარში, დამზადებული ვაჭრობისა და საზკვების საწარმოების მიერ	6	,,–”
16.გაყინული ხორციანი პელმენები, ფრიკადელები	48	არა უმეტეს -5
ფრინველისა და ბოცვრის ხორცის ნახევარფაბრიკატები		
17. ფრინველისა და ბოცვრის დაფასოებული გაცივებული ხორცი	48	2-იდან 6-მდე
18. ფრინველისა და ბოცვრის გაყინული ხორცი	72	,,–”
19. ფრინველის ხორცის ნახევარფაბრიკატები (დაუფეშხოებელი, კულინარიული დამუშავებისათვის, ბარკლები, სუკი, უკანა მეოთხედი, თეძო, კანჭი, მკერდის ნაწილი)	48	,,–”
20. ნაკრებები წვნიანის, რაგუსა და ლაბისათვის	12	,,–”
21. ფრინველის ხორცის დაკეპილი ნახევარფაბრიკატები (ქათმის ხორცის კატლეტები)	,,–”	,,–”
22. ფრინველისა და ბოცვრის სუბპროდუქტები და მათი ნახევარფაბრიკატები	24	,,–”
საქონლის, ღორის, ცხვრის,ხორცის კულინარული ნაწარმი		
23. მოხარშული ხორცი, დამზადებული ცენტრალიზებულად საზკვების ობიექტების მომმარაგებელი საწარმოების მიერ (მსხვილ ნაჭრებად ცივი კერძებისათვის: მსხვილ ნაჭრებად, დაჭრილი ულუფებად პირველი და მეორე თავი კერძებისათვის, ჟელეში)	24	,,–”
24. მოხარშული ხორცი დამზადებული საზკვების ყველა სხვა ტიპის საწარმოში, გარდა მომმარაგებლისა	12	2-იდან 6-მდე
25. შემწვარი ხორცი, დაზადებული ცენტრალიზებულად საზკვების ობიექტების მომმარაგებელი საწარმოების მიერ (საქონლისა და ღორის შემწვარი ხორცი მსხვილ ნაჭრებად ცივი კერძებისათვის: საქონლისა და ღორის შემწვარი ხორცი მსხვილ ნაჭრებად, დაჭრილი ულუფებად პირველი და მეორე თავი კერძებისათვის, ჟელეში)	48	,,–”
26. შემწვარი ხორცი, დამზადებული საზკვების ყველა სხვა ტიპის საწარმოში, გარდა მომმარაგებლისა	24	,,–”
27. მოშუშული ხორცი, ღორის ქონით დატენილი (მსხვილ ნაჭრებად, დაჭრილი ულუფებად მეორე თავი კერძებისათვის, ჟელეში)	24	,,–”
28. ხორცის მოხარშული სუბპროდუქტები (ენა, ცური, გული, თირკმელები, ტვინი)	18	,,–”
29. შემწვარი ღვიძლი	24	,,–”
3. დაკეპილი შემწვარი ხორცის კულინარიული ნაწარმი (კატლეტები, ბიფშტექსები, კეპილა, შნიცელი)	12	,,–”
31. ხორციანი ლაბა და ხორცი ლაბასხმული	12	,,–”
32. ხორცის, ღვიძლის და ფრინველის პაშტეტები, დამზადებული ქარხნული წესით	24	0-იდან 2-მდე

33. ხორცისა და ღვიძლის პაშტეტები დამზადებული საზკვების ობიექტების მიერ	6	2-დან 6-მდე
34. საკვები ბულიონები, დამზადებული ხორცის მრეწველობის საწარმოების მიერ კონცენტრირებული თხევადი	24 6	,,–”
35. ბულიონი ჟელატინით. ნახევარფაბრიკატები ხორცისა ქათმისა	48 24	,,–”
36. ქათმის ძვლების ბულიონი. ნახევარფაბრიკატი	24	2-იდან 6-მდე
37. ძვლების კონცენტრირებული ბულიონი. ნახევარფაბრიკატები	48	,,–”
ქათმის და ბოცვრის კულინარული ნაწარმი		
38. შებრაწული დაუფეშხოებელი იხვი და წიწილა	48	2-დან 6-მდე
39. დაუფეშხოებელი ფრინველი შებოლილი, შებოლილ-შებრაწული და შებოლილ-მოხარშული	72	,,–”
40. ფრინველისა და ბოცვრის შემწვარი ხორცი, დამზადებული ცენტრალიზებულად საზკვების ობიექტების მომმარაგებელი და ფრინველის ხორცის გადამამუშავებელი საწარმოების მიერ	48	,,–”
41. ფრინველისა და ბოცვრის შემწვარი ხორცი დამზადებული ყველა სხვა ტიპის საზკვების საწარმოში, გარდა მომმარაგებლისა	24	,,–”
42. მოხარშული დაუფეშხოებელი ფრინველი დამზადებული ცენტრალიზებულად საზკვების ობიექტების მომმარაგებელი და ფრინველის ხორცის გადამამუშავებელი საწარმოების მიერ	24	,,–”
43. მოხარშული დაუფეშხოებელი ფრინველი დამზადებული ყველა სხვა ტიპის საზკვების საწარმოში, გარდა მომმარაგებლისა	18	,,–”
44. ფრინველი მოხარშული, დაკეპილი ულუფებად, ჟელეში	24	,,–”
45. ფრინველის მოხარშული რბილი ნაწილები ბრიკეტებად	24	,,–”
46. მოხარშული კვერცხი	24	,,–”
ძეხვი და ძეხვეულის ნაწარმი		
47. ლაბა გარსში	36	,,–”
48. ზელცი: უმაღლესი ხარისხისა I და II ხარისხისა III ხარისხისა საგანგებო II ახარისხის	 48 24 12 12	,,–”
49. ფაშვის რულეტი III ხარისხისა ახალი და წითელი III ხარისხისა	12 12	2-იდან 6-მდე
50. მოხარშული ძეხვი: უმაღლესი ხარისხისა I და II ხარისხისა III ხარისხისა	 72 48 24	2-იდან 6-მდე
51. სოსისი და სარდელი უმაღლესი, I და II ხარისხი	48	,,–”
52. ხორცის პური: უმაღლესი ხარისხისა I და II ხარისხისა	 72 48	
53. ლივერული ძეხვი:		

უმაღლესი და I ხარისხისა II ხარისხისა III ხარისხისა	48 24 12	,,–”
54. სისხლიანი ძეხვი: I და II ხარისხისა III ხარისხისა შებოლილი I ხარისხისა	 24 12 48	 ,,–”
55. მოხარშული ნაწარმი გარსში (შაშხის ასორტი, შაშხი საუზმისათვის, შაშხი გარსში და სხვ.)	72	,,–”
56. მოხარშული ძეხვი სუბპროდუქტებით, ცილოვანი და სუბპროდუქტების სარდელი	24	,,–”
57. დაფასოებული ძეხვეული, შეფუთული პოლიმერულ აფსკში ვაკუუმქვეშ: მოხარშული ძეხვი, ღორის, საქონლისა და ცხვრის მოხარშული პროდუქტები	48	,,–”
58. ლივერული მცენარეული ძეხვი (ბურღულეულის დამატებით)	12	,,–”
59. ძეხვი ბავშვთა კვებისათვის	36	,,–”
60. ფრინველის ხორცის უმაღლესი ხარისხის მოხარშული ძეხვი	72	,,–”
61. ფრინველის ხორცის მოხარშული ძეხვი I ხარისხისა, სოსისი	48	,,–”
თევზი და ზღვის პროდუქტები		
62. ნახევარფაბრიკატები		
ყველა დასახელების გაცივებული თევზი	48	0-იდან –2-მდე
63. გაყინული და მოსარკლული ყველა დასახელების თევზი და თევზის პროდუქტები	24	,,–”
64. სპეციალურად დამუშავებული გაუყინავი თევზი	24	–2-იდან 2-მდე
65. საფანელში ამოვლებული საულუფე თევზი	12	2-იდან 6-მდე
66. მწვადი	24	–2-დან 2-მდე
67. თევზ-კარტოფილის კატლეტები, კეპილა, ფარში, ზრაზი, ბლინურები (გაუყინავი)	12	,,–”
68. გაყინული კატლეტები და ფარში	72	–4-იდან –6-მდე
69. თევზის გაყინული პელმენები	48	,,–”
კულინარული ნაწარმი		
70. ყველა დასახელების შემწვარი თევზი	36	2-იდან 6-მდე
71. ყველა დასახელების შებრაწული თევზი	48	,,–”
72. ყველა დასახელების მოხარშული თევზი	24	,,–”
73. ფარშირებული თევზი	24	,,–”
74. დამარილებული თევზის დაკეპილი ნაწარმი (ქაშაყი, სკუმბრია, სარდინი და სხვა)	24	,,–”
75. ყველა დასახელების თევზის შემწვარი კატლეტები	12	,,–”
76. თევზის ფრიკადელები და გუფთა ტომატის სოუსში	48	,,–”
77. ცხლად შებოლილი ყველა დასახელების თევზი და რულეტი	48	,,–”
78. თევზის მოხარშული ძეხვი	48	,,–”

79. ზელცი	12	,,–”
80. მოხარშული კიბორჩხალა და ხამანწკა	12	2-იდან 6-მდე
81. კიბორჩხალას ჩხირები	48	,,–”
82. კალმარი ბოსტნეულით არაჟნის სოუსში, დაბეგვილი კალმარი, კალმარის კატლეტები კალმარი მარინადში	 24 48	,,–”
83. თევზისა და ხიზილალის ყველა დასახელების ცხიმი	 24	,,–”
84. თევზი ლაბასხმული	24	–2-იდან 2-მდე
85. თევზის პასტა პოლიმერულ სამომხმარებლო ტარაში	 24	,,–”
86. თევზის მეორე თავი კერძები სამომხმარებლო ტარაში: გაუყინავი გაყინული	12 72	–4-იდან –6- მდე
87. გაყინული ცილოვანი პასტა	72	–2-იდან –3-მდე
რძე და რძის პროდუქტები		
88. პასტერიზებული რძე, ნაღები, აციდოფილინი	36	2-დან 6-მდე
89. მაწონი	36	,,–”
90. ჩუმა-მაწონი	24	,,–”
91. შრატისგან დამზადებული სასმელები	48	,,–”
92. ახალი დო და მისგან დამზადებული სასმელები	 36	,,–”
93. ნატურალური კუმისი, ძროხის რძის კუმისი	48	,,–”
94. არაჟანი დიეტური არაჟანი	72 48	,,–”
95. ხაჭო ცხიმიანი და უცხიმო, დიეტური გლეხური 5%-იანი	36 24	,,–”
96. სოიის ყველეული, სოიის ჩუმა-მაწონი	12	,,–”
97. ხაჭოს ნახევარფაბრიკატები: ხაჭოკვერა, ცომი კვერებისათვის, ცომი გირცისათვის, ბრინჯის ქიშმიშიანი მობრაწულას ნახევარფაბრიკატი გირცი ხაჭოთი	 24 24	 არა უმეტეს –5
98. ყველეულ-ხაჭოს ნაწარმი	36	0-იდან 2-მდე
99. ხაჭოს მობრაწულა და პუდინგი, კულინარიული ნაწარმი დამზადებული საზკვების ობიექტების მომმარაგებელი საწარმოების მიერ	 48	 2-დან 6-მდე
100. ხაჭოს ნაწარმი, კულინარიული, დამზადებული ყველა სხვა ტიპის საზკვების საწარმოს მიერ; ხაჭოს პუდინგი ცხიმიანი და უცხიმო ხაჭოს ზრაზი ქიშმიშით ცხიმიანი და ნახევრად ცხიმიანი	 24 36	 ,,–”
101. ოჯახური წარმოების ყველი	36	,,–”
102. მოუხდელი რძის ყველი პოლისტიროლის კოლოფებსა და სხვა პოლიმერულ შესაფუთ მასალაში ხილისა და ტკბილი ცხარე, როკფორი და სხვ.	 48 72	,,–”
103.წათხის ყველი რბილი და მოუმწიფებელი	48	2-იდან 6-მდე

104. ყველის მასა	48	,,–”
105. ყველის ცხიმი	48	,,–”
106. მოუხდელი რძის დაჭრილი ყველი	6	,,–”
107. ნაღების სასმელები	24	,,–”
108. ბავშვთა კვების პროდუქტები: საბავშვო მაწონი ბოთლებში პაკეტებში საბავშვო ხაჭო აციდოფილური ნარევი ბოთლებში პაკეტებში	 24 36 24 24 36	 ,,–”
109. რძის სამზარეულოს ბავშვთა პროდუქტები	24	,,–”
110. ჰუმანიზებული რძე ძუძუთა ასაკის ბავშვთათვის	36	,,–”
111. ჰუმანიზებული გამდიდრებული რძე	36	,,–”
112. რძემჟავა სითხე ბავშვთა და დიეტური კვებისათვის	48	,,–”
ბოსტნეულის პროდუქტები		
ნახევარფაბრიკატები		
113. ნედლი, გასუფთავებული, სულფიტირებული კარტოფილი	48	2-იდან 6-მდე
114. ახალი, გასუფთავებული, თეთრთავიანი კომბოსტო	12	,,–”
115. ნედლი, გასუფთავებული სტაფილო, ჭარხალი, თავიანი ხახვი	24	,,–”
116. დამუშავებული, დაჭრილი ბოლოკი, თვის ბოლოკი	12	2-იდან 6-მდე
117. ოხრახუშის დამუშავებული ფოთლები ფესვები	18 24	,,–”
118. ნიახურის დამუშავებული ფოთლები ფესვები	18 24	,,–”
119. დამუშავებული მწვანე ხახვი	18	,,–”
120. დამუშავებული კამა	18	2-იდან 6-მდე
121. დამუშავებული ტარხუნა (ფოთლები)	18	,,–”
122. დამუშავებული ძირთეთრა (ფესვები)	24	,,–”
ნახევარფაბრიკატები სითბური დამუშავების შემდგომ		
123. კომბოსტოს, სტაფილოს, ჭარხლის, კარტოფილის მობრაწულა	18	,,–”
124. კომბოსტოს, სტაფილოს, ჭარხლის, კარტოფილის კეპილა (კატლეტი)	18	,,–”
125. კომბოსტოს შნიცელი, კომბოსტოს ფარში, სტაფილოს ფარში	12	,,–”
126. დაჭრილი მჟავე კიტრი	24	,,–”
127. გათუთქული, დაჭრილი, თეთრთავიანი კომბოსტო	12	,,–”
128. ჩაშუშული, დამჟავებული კომბოსტო პირველი თავი კერძებისთვის	72	,,–”
129.დამწნილებული ხახვი, სტაფილო	48	,,–”
130. კონცენტრირებული სოუსები:		

წითელი – ტუტოვანი და ტომატის თეთრი – ტუტოვანი, არაჟნის, ვაშლის	72 48	,,–”
131. სატოლმე ნახევარფაბრიკატები (ბოსტნეულით, ხორცითა და ბრინჯით, თევზითა და ბრინჯით, ხაჭოთი და ბრინჯით, ფეტვითა და შპიკით)	12	,,–”
132. სასადილოებში მომზადებული სატოლმე ნახევარფაბრიკატები ხორცითა და ბრინჯით	6	,,–”
133. დამჟავებული კომბოსტოს სალათი	24	,,–”
134.მოხარშული, გასუფთავებული ბოსტნეული: სტაფილო ჭარხალი კარტოფილი	 24 24 18	,,–”
135. მოხარშული, გასუფთავებული, დაჭრილი ბოსტნეული: სტაფილო ჭარხალი კარტოფილი	 18 18 12	,,–”
136. შეუკაზმავი სალათები (ხორცის, თევზის)	12	,,–”
137. სასადილოებში მომზადებული ყველა დასახელების შეუკაზმავი სალათები, ვინეგრეტები	6	,,–”
138. მოხარშული, გაუსუფთავებელი ბოსტნეული	6	,,–”
ფქვილეულის პროდუქტები		
ნახევარფაბრიკატები		
139. საფუვრიანი ცომი შესაწვავ-გამოსაცხობი ტკბილღვეზელას, კულებიაკის, ღვეზელისა და ფქვილის სხვა ნაწარმისათვის	9	2-იდან 6-მდე
140. უმარილო ფენოვანი ცომი ტორტების, ღვეზელისა და ფქვილის სხვა ნაწარმისათვის	24	,,–”
141. ტკბილი ცომი ტორტებისა და ტკბილღვეზელებისათვის	36	,,–”
142. ცომი გირცებისათვის	24	,,–”
143. მაჭკატების მასალა	24	,,–”
144. ფარშიანი ბლინურები: ხორცით, ხაჭოთი, ვაშლით ჯემითა და ხილფაფით	 12 18	 ,,–”
კულინარიული ნაწარმი		
145. ყველის ჩხირები	72	,,–”
146. თავჩენილი, ნახევრად ღია ღვეზელი საფუვრიანი ცომით: ხაჭოთი ხილფაფით დატენილი	 24 24	 ,,–” არაუმეტეს =20-ისა
147. გამომცხვარი, შემწვარი ჩებურეკი, ბელიაში, სუფრის ღვეზელი, ღვეზელი, თავჩენილი (ხორცის, კვერცხის, ხაჭოს, კობოსტოს და სხვა სატენით)	24 3	2-იდან 6-მდე არა უმეტეს =20-ისა

ბურღულის პროდუქტები		
ნახევარფაბრიკატები		
148. მანანის ბურღულის კეპილა (კატლეტი)	18	2-იდან 6-მდე
149. კულინარიული ნაწარმი		
150. მანანის ბურღულის, ბრინჯისა და ხაჭოიანი ბრინჯის კეპილა (კატლეტი)	18	2-იდან 6-მდე
151. რძისა და ბრინჯის პუდინგი	24	,,–”
ცხიმიანი და უცხიმო ხაჭოს მანანის ბურღულიანი მობრაწულა	24	,,–”
152. ხილის ფლავი	24	,,–”
ფქვილეული საკონდიტრო ნაწარმი, ტკბილი კერძები სასმელები		
153. ტორტები და ტკბილღვეზელები:		
უკრემოდ, ათქვეფილი		
ცილის კრემით ან ხილით გაწყობილი	72	
ნაღების კრემით გაწყობილი	36	
მოხარშული კრემით, ათქვეფილი ნაღების კრემით გაწყობილი	6	2-იდან 6-მდე
154. ბისკვიტის რულეტები:		,,–”
კრემით	36	
ხაჭოთი	24	
155. ჟელე, დიდგულა, მუსები	24	,,–”
156. ნაღებისა და ხილხაჭოიანი კრემები	24	,,–”
157. ათქვეფილი ნაღები	6	,,–”
158. ხაჭოს ტორტი	24	,,–”
159. ქარხნული წესით დამზადებული ბურახი, პურის ბურახი არაპასტერიზებული	48	,,–”
160. საწარმოების მიერ გამომუშავებული ლიმონის, ალუბლის (კონსერვანტების გარეშე) უგაზო უალკოჰოლო სასმელები	48	,,–”
სწრაფად გაყინული პროდუქტები		
სალათები და საუზმეული		
161. წითელთავიანი კომბოსტოს სალათი	24	0-იდან4-მდე
162. ჭარხლის სალათი პირშუშხათი	24	,,–”
163. ბოსტნეულის სალათი ტომატით	24	,,–”
მეორე თავი კერძები და გარნირები		
164. საქონლის ხორცის გულიაში	96	,,–”
165. საქონლის ხორცის ჩაშუშული	“	,,–”
166. ხორცი ოჯახურად	“	,,–”
167. ბიფსტროგანოვი	“	,,–”
168. გუფთა	“	,,–”
169. კეპილა სოუსის გარეშე	“	,,–”
170. კეპილა სოუსში	48	,,–”
171. ბიფშტექსი	“	,,–”
172. სარდელი	“	,,–”
173. სოსისი	“	,,–”
174. ძეხვი	“	,,–”

175. მაჭკატები გლეხურად	“	,,–”
176. მაჭკატები მთიულურად	“	,,–”
177. მაჭკატები კომბოსტოს სატენით	“	,,–”
178. მაჭკატები ხაჭოს სატენით	“	,,–”
179. მაჭკატები ხილის სატენით	“	,,–”
180. კროკეტები	48	,,–”
181. გლეხური კატლეტები სოუსში	48	,,–”
182. გლეხური კატლეტები სოუსის გარეშე	48	,,–”
183. კროკეტების ფარში	48	,,–”
184. ჩაშუშული დამჟავებული კომბოსტო	24	0-იდან 4-მდე
185. ჩაშუშული ახალი კომბოსტო	24	,,–”